რა გეგმებით ჩამოდის დევიდ ლინჩი საქართველოში?

ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი, მუსიკოსი და პროდიუსერი დევიდ ლინჩი საქართველოს ოთხდღიანი ვიზიტით ეწვევა.

დამოუკიდებელი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი და მრავალი კინოფესტივალის გამარჯვებული ჩვენს ქვეყანაში დევიდ ლინჩის ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ბობ როთისთან ერთად ჩამოვა.

დევიდ ლინჩის ფონდი 2005 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში თავად ხელოვანმა დააარსა. ფონდის ძირითადი ფილიალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში და უკრაინაში მუშაობს.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენს ქვეყანაში დევიდ ლინჩის ფონდი ამ ზაფხულს ჩამოყალიბდა. მისი პრეზიდენტი რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძეა. ფონდი საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს აერთიანებს. დევიდ ლინჩი ჩვენს ქვეყანაში მისი ფონდის კავკასიის განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებით ჩამოვა.

ამერიკელ რეჟისორი და მისი გუნდის წევრები პირველ ვიზიტზე გაეცნობიან საქართველოს კულტურას, ტრადიციებს და ისტორიას. ისინი შეხვდებიან ქართული საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, 20 ნოემბერს 19 საათზე კინოთეატრ “ამირანში” ნაჩვენები იქნება დევიდ ლინჩის ფილმი “მალჰოლანდ დრაივი”. რეჟისორი კლუბში “ხიდი” შეხვდება მაყურებელს და ჩაატარებს საჯარო ლექციას ტრანსცენდენტული მედიტაციისა და საზოგადოებისთვის მისი სოციალური როლის შესახებ.

დევიდ ლინჩის შეხვედრა მაყურებლის გარდა, დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, კულტურის მინისტრთან და თბილისის მერთან.

როგორც დევიდ ლინჩის ფონდის ხელმძღვანელმა გიგა აგლაძემ განაცხადა, ერთობლივი პროექტი უკვე დაგეგმილია, თუმცა მასზე წინასწარ საუბარი ამ ეტაპზე არ შეუძლია.

WHAT PLANS WILL HAVE DAVID LYNCH IN GEORGIA?

The famous American film director, scriptwriter, musician and a producer David Lynch will arrive in Georgia in frames of a four day visit.

One of the most famous representatives of the independednt Film and a winner of several film festivals will arrive in our country with the CEO of David Lynch Foundation Bob Roth.

David Lynch Foundation was established in USA in 2005 by the artist himself. The main branches of the Foundation are in USA, Great Britain, France and Ukraine.

As for Georgia David Lynch Foundation was established in our country in 2017. Its president is a film director and a musician Giga Agladze. The Foundation unites Georgia, Azerbaijan and Armenia. David Lynch's visit in our country is related to the activities of its Caucasus branch.

The American film director and its team members will get acquianted to the Georgian Culture, traditions and history during their first visit. They will meet with different representatives of the Georgian society. On the 20th of November at 19:00 the screening of David Lynch's fim "Mulholland Drive" will be held in the film theatre. The film director will meet with the public in the club "Khidi" and will hold a public lecture on Transcendental Meditation and its role for the society.

Besides the meetings with the society David Lynch will also be introduced to the Prime Minister of Georgia, Minister of Culture and Tbilisi Mayor.

As the head of David Lynch Foundation Giga Agladze announced, the joint project has already been planned but at this stage is not able to share the details in advance.